# მცირე შენიშვნა

„ლიტერატურის და ხელოვნების" მე-17 ნომერში (19,5. 44) დაიბეჭდა პროფ. ი. აბულაძის წერილი „მზიანი ღამე" და „ცათა კელტი" ვეფხის-ტყაოსანში, ამ წერილში ავტორი სცდილობს დაამტკიცოს, სხვათა შორის, ისიც რომ ჩვენს „პოემაში ცხადია ირანელთა ძველის-ძველი სექტის, ე. წ. სეფასიანების სექტის გავლენა". საიდან ჩანს ეს? ვეფხის-ტყაოსანში ნათქვამია: „ჰე, მზეო ვინ ბატონად გიქვეს მზიანის ღამისად". ფრაზა „მზიანი ღამე", რა აზრიც არ უნდა იყოს ამაში ჩადებული, რუსთაველის სოფლმხედველობის დამახასიათებელ, სპეციფიკურ ფილოსოფიურ თქმად უნდა ჩაითვალოს; ი. აბულაძის აზრით კი ის ნასესხებია სეფასიანთა სექტიდან. „„სეფასიანების მოძღვრებით, ამბობს ის, მზე „მზიანი ღამის ბატონია, მზიანი ღამე კი სუფევს სამოთხეთა სამოთხეში, რომელიც მე-10 ცაზეა" საიდან გაიგო ი. აბულაძემ, რომ „მზიანი ღამე" სეფასიანთა სექტის რელიგიიდან მომდინარეობს? ეს, ისე, როგორც სხვა ყველა, მის მიერ მოყვანილი ცნობა სეფასიანთა შესახებ, მისი განცხადებით, ამოღებულია კ. სმირნოვის წიგნიდან: Персы. Очерк религии (აბულაძით—Истории) Персии, Тифлис 1916 г. კატეგორიულად ვაცხადებთ, რომ ამ წიგნში არსად, არც 32 56 გვერდებზე, როგორც ი. აბულაძე უჩვენებს, არც სხვა რომელიმეზე, ასეთი ცნობა არ მოიპოვება. აი შესაფერისი ადგილებია:

По верованию арийцев, рай был расположен на зных небесах до 9-го включительно, а на последнем—десятом был рай раев, блаженство которого состояло в постоянном созерцании бога. (Смирнов. стр. 32).

„სეფასიანთა რელიგიიდან მომდინარეობს რწმენა, რომლითაც სამოთხე მდებარეობს სხვადასხვა ცაზე მეცხრე ცამდის. მეათე და უკანასკნელ ცაზე კი მდებარეობდა სამოთხეთა სამოთხე, რომელზედაც სუფევდა განუსაზღვრელი ნეტარება, მზიანი ღამე (ხაზგასმა ჩვენია, ავტორები) და მუდმივი ხილვა ღმერთისა" (ი. აბულაძე).

საიდან გაჩნდა ი. აბულაძის თარგმანში „მზიანი ღამე", რომელსაც რუსულ დედანში ადგილი არა აქვს, ან საიდ ამოიკითხა მან სმირნოვის წიგნში რომ სეფასიანების რწმენით, მზე „მზიანი ღამის ბატონია?".

ყველას უფლება აქვს საკუთარი შეხედულება იქონიოს ამა თუ იმ სადისკუსიო საკითხის შესახებ, მაგრამ ეს გარემოება არავის არ უნდა აძლევდეს უფლებას თავისი შეხედულების დასამტკიცებლად შეთხზული, არაარსებული ციტატები მოიყვანოს.

კ. კეკელიძე
ალ. ბარამიძე
ვუკ. ბერიძე